შპს "ჯი-ეი ნიკიში"

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

(დოპ)

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6 სერვის ცენტრის შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე

თბილისი

2014

შპს „NIEKISCH"

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

(დოპ)

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6
სერვის ცენტრის შენობა-ნაგებობების
დაშლა-დემონტაჟზე

დირექტორი	ანდრე ნიკიში
არქიტექტორი	გ. ლობჟანიძე
შეადგინეს	რ. მახვილაძე
	ნ. მურჯიკნელი

თბილისი

2014

სარჩევი

1.	ტერიტორიისა და დასაშლელი ობიექტის დახასიათება.	4
2.	კალენდარული გეგმა თანხებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით.	10
3.	კალედარული გრაფიკი № 1ა შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშოთა ცალკეულ ეტაპებზე.	11
4.	კალედარული გრაფიკი № 4 შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშოთა ცალკეულ ეტაპებზე.	12
5.	კალედარული გრაფიკი № 2 ანტრესოლის მქონე შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშოთა ცალკეულ ეტაპებზე. . . .	13
6.	კალედარული გრაფიკი № 3 შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშოთა ცალკეულ ეტაპებზე.	14
7.	მოთხოვნილება კადრებზე და დრეობით შენობა-ნაგებობებზე	15
8.	მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესო-რებზე და ჟანგბადზე.	15
9.	მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე.	16
10.	საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები	17
11.	დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები	17
12.	მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია	20
13.	ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა	23
14.	მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე. . .	25
15.	ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები	26
16	დაშლით სამუშაოთ წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა	27
17	დემონტაჟის გენგეგმა, ექსპლიკაცია და მითითებები	28
18	შენობის გარე და შიდა სივრცეში მობილური ამწის დგომის პოზიციები ფერმებისა და ფილების დემონტაჟის პერიოდში . .	29
19	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.	30
20	საკადასტრო გეგმა	32
21	ტოპო გეგმა	33
22	საკადასტრო გეგმით შენობა №1-ის გეგმა 0.00 ნიშნულზე	34
23	საკადასტრო გეგმით შენობა №1-ის ანტრესოლის გეგმა ნიშნულზე 4.40	35
24	საკადასტრო გეგმით შენობა №1-ის ჭრილები 1-1 და 2-2	36
25	საკადასტრო გეგმით შენობა №2-ის გეგმა ნიშნულზე 0.00	37
26	საკადასტრო გეგმით შენობა №2-ის სახურავის გეგმა	38
27	საკადასტრო გეგმით შენობა №2-ის ფასადები	39
28	შენობა №3-ის გეგმა ნიშნულზე 0.00	40
29	შენობა №3-ის ფასადები	41
30	ფოტო მასალა არსებული მდგომარეობის თაობაზე	42

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6 სერვის ცენტრის შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე

1. ტერიტორიისა და დასაშლელი ობიექტის დახასიათება

1.1. 2014 წლის 3 ივლისს გაცემული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან № 01.14.06-008.146, ასევე ამავე ნომრის საკადასტრო გეგმით ნაკვეთის მპლობელია შპს „აკა", რომელზედაც განთავსებულია ავტოსერვისის საწარმო კომპლექსი საერთო ფართობია 11861 კვადრატული მეტრი. მათზე ორი ერთსართულიანი შენობაა დაფიქსირებული საერთო ფართობით 3537 მ².

1.2. ღობის გარეთ სამი მხრიდან საბურთალოს სასაფლაოს ტერიტორიაა. მისასვლელი ავტოჭიშკარი უნივერსიტეტის ქუჩიდანაა.

1.3. ჩვენს მიერ ჩატარდა დასაშლელი შენობა-ნაგებობის შესწავლა, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიებისა და ქუჩის დათვალიერება დაშლა-დემონტაჟის რეალური პირობების გაანალიზებით.

1.4. დაშლა-დემონტაჟის რეალური დაშლის პირობებიდან გამომდინარე საჭირო გახდა ტოპოგეგმის შედგენა და მასზე საკადასტრო გეგმაში მითითებული შენობების დაფიქსირება. ტოპოგეგმის მიხედვით შემოღობილი ტერიტორია მოსწორებულია 494÷496 მეტრი ნიშნულების ფარგლებში, რომელზედაც ამჟამად განლაგებულია სამი ერთსართულიანი შენობა. მეპატრონემ გადაწყვიტა მათი დაშლა და მათ ადგილზე ახალი შენობების აგება ავტო-სერვისის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით.

1.5. გთხოვთ ყურადღებას: თბილისის არქიტექტურის სამსახური დემონტაჟის პროექტების შედგენას თხოულობს საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დავმალოთ ერთი შენობა, თუ დემონტაჟის პროექტში სამივე შენობა გავითვალისწინოთ? ამავე დროს №1 შენობა მთლად ერთსართულიანიც არ არის, შედგება ტემპერატურული ნაკერით დაშორებული ორი ნაწილისაგან და ორივეს გააჩნია ანტრესოლი.

დამკვეთს სურს ერთი ნაწილი დაშალოს ადრე (პირობით დავარქვათ 1ა) ხოლო მეორე ნაწილი (პირობით 1ბ) 3 თვის შემდეგ. საკადასტრო გეგმაზე არ არსებული, ხოლო ტოპოგეგმაზე მონიშნული №3 ნაგებობა წარმოადგენს ფარდულს, რომელშიც განთავსებულია ბენზინგასამართი, ასევე გამოიყენება მანქანების სადგომად.

1.6. მერიის არქიტექტურული სამსახურის ძვირფასო კოლეგებო. უმორჩილესად გთხოვთ – სანამ ხარვეზებზე მიგვითითებთ დაგვიკავშირდით და მოისმინეთ ჩვენი მოსაზრებებიც, დემონტაჟის პროექტის ბოლო ნაწილში ჩაკრულია აზომვითი ნახაზებიც.

1.7. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟის პროექტის შედგენაზე;
- ტოპო გეგმა და უბნის განაშენიანების სიტუაციური გეგმა;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება და აზომვითი ნახაზები;
- ამონაწერი თბილისის საჯარო რეესტრიდან;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა;
- ფოტო მასალა არსებული მდგომარეობის თაობაზე;
- ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

1.8. ავტოსერვისის ტერიტორია შემოზღუდულია ასაწყობი რკინაბეტონის პანელებისაგან შედგენილი კაპიტალური ღობით, იხილეთ გენგეგმა. ტერიტორია დასერილია შიდა ასფალტირებული გზებითა და ტროტუარებით, მიწაში ჩაღრმავებული წყალსადენის, კანალიზაციისა, ელექტროსაკაბელო და სხვა საინჟინრო კომუნიკაციებით. მრავალწლიანი ნარგავები შენობებიდან მოშორებით მცირე რაოდენობითაა.

1.9. დასაშლელ ობიექტთან დაკავშირებით საპროექტო დოკუმენტაცია, ფოტო მასალებთან ერთად არსებულ საექსპლოატაციო მდგომარეობაზე ჩაკრულია ბოლო გვერდებზე.

1.10. დასაშლელი №1 და №2 ობიექტები აგებულია 25-30 წლის წინა პერიოდში. როგორც აღინიშნა ერთსართულიანი შენობები კარკასული ტიპისაა, აგებულია ასაწყობი რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციებისაგან. №3 შენობა აიგო ათიოდე წლის წინ ლითონის მოდულურ კონსტრუქციებში.

1.11. საკადასტრო გეგმით №1 შენობა ერთმანეთზე ტემპერატურული ნაკრითაა მიდგმული, შედგება ორი ნაწილისაგან, გააჩნია „Г"–ესებური ფორმა. მათში სარემონტო სახელოსნოებია განთავსებული. ვინაიდან დამკვეთი მათ დემონტაჟს სხვადასხვა პერიოდში მოითხოვს პირობით დავყოთ 1ა და 1ბ შენობებად კალენდარული გეგმების შედგენისა და დემონტაჟის სამუშაოთა სტრატეგიის განსაზღვრის საჭიროებით.

1.12. №1ა შენობაც უსარდაფოა 7-16 ღერძებით ედგმის №1ბ შენობას ზომებით გეგმაში გარე კონტურზე (მოშენების ფართი) 31,15X55,2=1719,5მ^2, საერთო ფართობით 30,35X54,4=1651,04 მ^2 განაპირა ღერძებში ნიშნულზე 3,4 მეტრი გაჩნია ანტრესოლი საერთო ფართობით 6,3X54,0=340,2 მ^2. ამრიგად I სართულისა და ანტრესოლის საერთო ფართი 1651,04+340,2=1991,24 მ^2-ია. შენობის კონსტრუქციული სიმაღლე გადახურვის ფერმის კვეხამდე 9,1 მეტრია, შენობის სამშენებლო მოცულობა შეადგენს 1719,5X9,1=15647,45 მ^3-ს.

1.13. №1ბ შენობა უსარდაფოა ზომებით გეგმაში გარე კონტურზე (მოშენების ფართი) 23,9X43,55=1040.84 მ^2, საერთო ფართობი შეადგენს 22,4X42,75=957,6 მ^2, ღერძებში 1-3; 5-7; ბ-დ და ზ-ი 6-6 მეტრ სიგანეზე ნიშნულზე 4,4 მეტრი მოწყობილია ანტრესოლი საერთო ფართობით 21,8X23+7,8X7,8=501,4–60,8=440,6 მ^2. ამრიგად I სართულისა და ანტრესოლის საერთო ფართობი შეადგენს 957,6+440,6=1398,2 მ^2-ს. შენობის კონსტრუქციული სიმაღლე ლითონის ფერმის კვეხამდე 9,8 მეტრია. ხოლო შენობის სამშენებლო მოცულობა 1010,36X9,8=9901,53 მ^3.

1.14. საკადასტრო გეგმით შენობა №2 ერთსართულიანია, უსარდაფო, მზიდი კედლებით. მოშენების ფართით გარე კონტურზე 573,7 მ^2, საერთო ფართით შიდა კონტურზე 479 მ^2, სასარგებლო ფართით 442,5 მ^2. გეგმაში გააჩნია გამონაშვერები და მინაშენი. შენობა უსარდაფოა, კედლების სიგრძე A-B ღერძებში „1''ღერძის გასწვრივ 29,5 მეტრია, „3'' ღერძის გასწვრივ 27,9 მეტრი, D ღერძის გასწვრივ 15,57 მეტრი, A ღერძის გასწვრივ 1-3 ღერძებშიგარდა შეწევით „2'' ღერძთან 10,8+10,65=21,45 მეტრი, ხოლო მინაშენის სიგრძე A ღერძისაკენ 5 მეტრია. კონსტრუქციული სიმაღლე 5,7 მეტრია, შენობის სამშენებლო მოცულობა 3270 მ^3-ია.

1.15. როგორც აღმოჩნდა №3 ნაგებობა საკადასტრო გეგმაში დაფიქსირებული არ არის. ნაგებობა აგებულია ლითონის მოდულურ სივრცობრივ კონსტრუქციებში სახელწოდებით ,კ,ისლოვოდსკი'', უსარდაფოა, სვეტებს შორის ბადით 12X18 მეტრი, გადახურვა აწყობილია მრგვალ მილოვანი კონსტრუქციებით სამკუთხოვანი სივრცული ფორმით, სახურავს გააჩნია კონსოლური გამონაშვერები, სახურავის ზომებია 18,6X21,7 მეტრზე, ფართობი 403,62 მ^2. შენობის კონსტრუქციული სიმაღლე სახურავის კერხამდე 7,7 მეტრია, სამშენებლო მოცულობა 3041 მ^3-ია. ნაგებობას კედლები არ გააჩნია, ამიტომ საერთო ფართი იგივე 403,62 მ^2-ია. შიგ განთავსებულია ბენზინგასამართი მოწყობი-ლობა მიწაში ჩაღრმავებული ბენზინსაცავით, ასევე გამოიყენება გადახურულ ავტოსადგომად.

1.16. ამრიგად თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული კითხვარების მიხედვით ცალკეული სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

№ №	მაჩვენებლების დასახელება	საზომი ერთეული	შენობა №1ა	შენობა №1ბ	შენობა №2	შენობა №3	ჯამი
1.	მიწის ნაკვეთის ფართობი	მ^2	–	–	–	–	17035
2.	მოშენების ფართობი	მ^2	1719,5	1040,84	573,7	403,6	3707,2

3.	საერთო ფართი	მ²	1991,3	1398,2	479,0	403,6	4272,1
4.	სამშენებლო მოცულობა	მ³	15647,5	9901,5	3270	3041	31860
5.	მათ შორის 0,00 მიშნულის ზევით	მ³	15647,5	9901,5	3270	3041	31860
6.	იგივე 0,00 მიშნულის ქვევით, მხოლოდ საძირკვლები და მე-3 შენობის ქვეშ საწვავის საცავი.	მ³	0	0	1000	0	1000
7.	შენობის კონსტრუქციული სიმაღლე	მ	10,9	11,6	8,2	9,5	11,6
8.	მათ შორის 0,00 მიშნულის ზევით	მ	9,1	9,8	5,7	7,7	9,8
9.	იგივე 0,00 მიშნულის ქვემოთ საძირკვლები და ბენზინის საცავი	მ	1,8	1,8	2,5	1,8	2,5

1.17. ავტოსერვისის ღობეში მოქცეული ტერიტორიის და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებ-ლებია:

- ტერიტორიის ფართობი – 17035მ²;
- მოშენების ფართი – 3707,2 მ²;
- საერთო ფართობი – 4272,1 მ²;
- სამშენებლო მოცულობა – 31860 მ³;
- მათ შორის 0,00 მიშნულის ზევით – 31860 მ³;
- იგივე 0,00 მიშნულის ქვევით, მხოლოდ საძირკვლები და მე-3 შენობის ქვეშ საწვავის საცავი. – 1000 მ³;
- შენობის კონსტრუქციული სიმაღლე – 11,6 მ.
- მათ შორის 0,00 მიშნულის ზევით – 9,8 მ.
- იგივე 0,00 მიშნულის ქვემოთ საძირკვლები და ბენზინის საცავი – 2,5 მ.

1.18. დემონტაჟის წარმოების პროექტში (დოპ) საჭიროა დაშლა-დემონტაჟის სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულების დადგენა. შენობა-ნაგებობები აგებულია რკინაბეტონის, ლითონის ასევე მზიდ კედლოვან კონსტრუქციებში, დაფუძნებულია ბეტონის და რკინაბეტონის საძირკვლებზე. ამიტომ საჭირო გახდება მისი დაშლისას სამშენებლო ამწეებისა და სანგრევ-საჭრელი მოწყობილობა-მექა-ნიზმების გამოყე-ნება, როგორიცაა მობილური ამწეები, „ბორგალკა", ექსკავატორი-კოდალა და

ა.შ. სამრეწველო დანიშნულების ობიექტებზე შენობის ერთი კვადრატული მეტრის დაშლაზე, მასალა-ნაკეთობათა დატვირ-თვაზე და გატანაზე ნაგავ-საყრელზე 20 კმ მანძილზე დამკვეთის მიერ 30 ლარია გამოყოფილი. შენობის მთლიანი საერთო ფართობი შეადგენს 4272,1 კვადრატულ მეტრს, მათ დაშლაზე, საინჟინრო კომუნიკაციების ჩაჭრაზე (წყალსადენი, კანალიზაცია, გაზსადენი, ელექტროქსელი, ტელეფონი და სხვა) სამოედნო ქსელებიდან დღგ-სა და ხელფასზე სხვა გადასახადების გათვალისწინებით საჭირო იქნება თანხა 4272,1X30=128153 ლარი=128,16 ათასი ლარი.

1.19. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენ-ტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებ-ლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მეი-ჯარეს შორის გადახდის საშუალებას. სამუშაოთა წარმოების პროექტში მოსალოდნელია სამუშაოთა რაოდენობებისა და ღირებუ-ლებების გაკორექტირება. აღნიშნულის გამო ანგარიშსწორება დამკვეთსა და მეიჯარეს შორის რეკომენდებულია წარმოებდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით დადგენილი წესით თუ ასეთი შეთანხმება წინასწარ იქნება გათვალისწინებული.

1.20. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შედგა კალენ-დარული გეგმა დასაშლელ-სედემონტაჟო სამუშაოებზე თორმეტ თვეზე გათვლით, ცხრილი 2 და გრაფიკი ცალკ-ცალკე ობიექტებზე დაშლით სამუშაოთა განხორციელებაზე ცალკეული ეტაპების მიხედვით. ცხრილები № 3, 4, 5 და 6

2. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6 ავტოსერვისის საწარმოო კომპლექსის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე კალენდარული გეგმა თანხებზე მოთხოვნილების გათვალისწინებით

№	სამუშაოთა დასახელება	სერთო ფართი მ2	1მ2 დაშლის ღირებულება	ღირებულების ათასი ლარი	თანხებზე მოთხოვნილების გრაფიკი											
					I კვარტალი			II კვარტალი			III კვარტალი			IV კვარტალი		
					1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
					25	50	75	100	125	150	175	200	225	250	275	300
1.	მოსამზადებელი სამუშაოები; შიდა ქსელებისა და კომუნი-კაციების ჩაჭრა საექსპლოა-ტაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით	–		8	2		2							2		
2.	№1ა ერთსართულიანი ანტრესოლით შენობის დაშლა – დემონტაჟი	1991,3	30	59,74				59,74								
3.	№1ბ ერთსართულიანი ანტრესოლით შენობის დაშლა – დემონტაჟი	1398,2	30	41,95										41,95		
4.	№3 ერთსართულიანი ნაგე-ბობის დაშლა– დემონტაჟი	403,6	30	12,11	12,11											
5.	№2 ერთსართულიანი შენობის დაშლა– დემონტაჟი	479	30	14,37					14,37							
6.	სულ სამუშაოთა ღირებულება	–	–	136,17	30,48			61,74			–			43,95		
7.	თანხების პროცენტული განაწილება თვეებში	–	–	100%	22,38%			45,34%			0			32,28%		

მითითებები: 1. დამკვეთი გეგმავს შენობა-ნაგებობათა დემონტაჟის პარალელურად ახალი შენობა-ნაგებობების აგებას. ამიტომ ბოლო №1ბ შენობის დემონტაჟი უნდა მოხდეს 1ა, 2 და 3 შენობა-ნაგებობების დემონტაჟიდან შესვენებით 3 თვის შემდეგ.

2. მესამე კვარტლის პერიოდში სადემონტაჟო სამუშაოები არ წარმოებს

3. აღნიშნულის გამო სადემონტაჟო სამუშაოთა პერიოდი სასურველია განისაზღვროს ერთი წლით.

3. კალენდარული გრაფიკი № 1ა ანტრესოლის მქონე შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე

დემონტაჟის ხანგრძლივობა 3 თვე

№	სამუშაოთა დასახელება	დღეები	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი														
			თვეები და სამუშაო დღეები														
			მეოთხე					მეხუთე					მეექვსე				
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75
1.	მოსამზადებელი სამუშაოები – შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების ჩაჭრა და დემონტაჟი	5	5														
2.	კარ-ფანჯრებისა და ტიხრების დემონტაჟი	10	10														
3.	თვით მზიდი კედლების დაშლა-დემონტაჟი	10		10													
4.	სახურავის ფენილის დაშლა-დემონტაჟი	15					15										
5.	სახურავის კონსტრუქციების დაშლა-დემონტაჟი ანტრესოლთან და მასზე ასასვლელ კიბესთან ერთად	20						20									
6.	სვეტების დაშლა-დემონტაჟი	15									15						
7	იატაკების დაშლა-დემონტაჟი	15												15			
8.	ცოკოლის, წერტილოვანი და ლენტ-ური საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	15														15	
9.	სამშენებლო ნაგვის შეგროვება-გატანა	70			ტრანსპორტი საჭიროების მიხედვით					70							

4. კალენდარული გრაფიკი №1ბ შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე

დემონტაჟის ხანგრძლივობა 3 თვე

№	სამუშაოთა დასახელება	დღეები	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი														
			თვეები და სამუშაო დღეები														
			მეათე					მეთერთმეტე					მეთორმეტე				
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65	70	75
1.	მოსამზადებელი სამუშაოები – შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების ჩაჭრა და დემონტაჟი	5	5														
2.	კარ-ფანჯრებისა და ტიხრების დემონტაჟი	10	10														
3.	თვით მზიდი კედლების დაშლა-დემონტაჟი	10		10													
4.	სახურავის ფენილის დაშლა-დემონტაჟი	15					15										
5.	სახურავის კონსტრუქციების დაშლა-დემონტაჟი ანტრესოლთან და მასზე ასასვლელ კიბესთან ერთად	20						20									
6.	სვეტების დაშლა-დემონტაჟი	15									15						
7	იატაკების დაშლა-დემონტაჟი	15												15			
8.	ცოკოლის, წერტილოვანი და ლენტ-ური საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	15														15	
9.	სამშენებლო ნაგვის შეგროვება-გატანა	70			ტრანსპორტი საჭიროების მიხედვით					70							

5. კალენდარული გრაფიკი № 2 შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე

დემონტაჟის ხანგრძლივობა 2 თვე

№№	სამუშაოთა დასახელება	დღეები	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი									
			თვეები და სამუშაო დღეები									
			მეხუთე					მეექვსე				
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50
1.	მოსამზადებელი სამუშაოები – შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების ჩაჭრა	5	5									
2.	კარ-ფანჯრებისა და ტიხრების დემონტაჟი	10	10									
3.	თვით მზიდი კედლების დაშლა-დემონტაჟი	10		10								
4.	სახურავის ფენილის დაშლა-დემონტაჟი	10			10							
5.	სახურავის კონსტრუქციების დაშლა-დემონტაჟი	10					10					
6.	სვეტების დაშლა-დემონტაჟი	10							10			
7	იატაკების დაშლა-დემონტაჟი	10								10		
8.	ცოკოლის, წერტილოვანი და ლენტ-ური საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	10									10	
9.	სამშენებლო ნაგვის შეგროვება-გატანა	45						45				
				ტრანსპორტი საჭიროების მიხედვით								

6. კალენდარული გრაფიკი №3 შენობის დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე

დემონტაჟის ხანგრძლივობა 2 თვე

№№	სამუშაოთა დასახელება	დღეები	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი თვეში და სამუშაო დღეები									
			პირველი					მეორე				
			5	10	15	20	25	30	35	40	45	50
1.	მოსამზადებელი სამუშაოები – შიდა ქსელებისა და კომუნიკაციების ჩაჭრა	5	5									
2.	კარ-ფანჯრებისა და ტიხრების დემონტაჟი	10	10									
3.	თვით მზიდი კედლების დაშლა-დემონტაჟი	10		10								
4.	სახურავის ფენილის დაშლა-დემონტაჟი	10			10							
5.	სახურავის კონსტრუქციების დაშლა-დემონტაჟი	10					10					
6.	სვეტების დაშლა-დემონტაჟი	10							10			
7	იატაკების დაშლა-დემონტაჟი	10								10		
8.	ცოკოლის, წერტილოვანი და ლენტ-ური საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	10									10	
9.	სამშენებლო ნაგვის შეგროვება-გატანა	45						45				
				ტრანსპორტი საჭიროების მიხედვით								

7. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

7.1 მომუშავეთა ანგარიში წარმოებს მუშათა წლიური გამომუშა-ვების მიხედვით. ცხადია შენობის დაშლის პერიოდში მუშათა რაო-დენობა სხვადასხვა იქნება, რაც გამოსახულია კალენდარულ გეგ-მაზე თანხების თვიური ცვალებადობის მიხედვით. დაშლით სამუ-შაოებზე მოწვეული სამშენებლო ფირმის საგეგმო-საწარმოო მონაცე-მებით მუშის საშუალო დღიური გამომუშავება შეადგენს 30 ლარს, თვიური 30 სამუშაო დღის გათვალისწინებით 900 ლარს. აღნიშნუ-ლიდან გამომდინარე ცხრა თვის პერიოდში, ვინაიდან ერთი კვარტალი სამუშაოები არ მიმდინარეობს საშუალოდ დღიურად დაგვჭირდება 136170:(900X9)=17 მუშაკი. მათ შორის იქნება ერთი ინჟინერი და ერთი ტექნიკოსი. მათზე ვანგარიშობთ:

7.2 საყოფაცხოვრებო სათავსებს

- გასახდელებს - 17X0,7=11,9 კვ. მეტრი;
- საშხაპეს – 17X0,082=1,39 კვ. მეტრი;
- ტუალეტი – 17X0,065=1,11 კვ. მეტრი

სულ გვჭირდება 14,4 კვ. მეტრი.

7.3 კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 1 კაცზე სულ საჭიროა 10+4X1=14 კვ.მეტრი.

7.4. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საპრარაბო და მუშა პერ-სონალი შენობა-ნაგებობების დაშლის პერიოდში რეკომენდებულია განათავსოთ არსებულ შენობებში გამოყოფილ ოთახებში.

8. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

8.1. ვინაიდან სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება 9 თვის პერიოდში ანუ ერთ წელთან შედარებით შემჭიდროებულ ვადებში გაანგარიშებაში უნდა შევიყვანოთ კოეფიციენტი K=12:9=1,33.

8.1 მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

0,78X140X0,136X1,33=11,17კვტ

8.2 მოთხოვნილება წყალზე

0,93X0,24X0,136X1,33=0,04 ლ/წმ

8.3. მოთხოვნილება კომპრესორზე

0,93X0,32X0,136X1,33 =0,05=1 ცალი

8.4. მოთხოვნილება ჟანგბადზე

0,93X4400X0,136X1,33=693,9 $მ^3$/საათში

ფორმულებში 0,78; 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140; 0,24; 0,32 და 4400 ერთ მილიონ მანეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატული დანახარჯები.

8.5 მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლოატაციო ორგანიზაციებთან დადე-ბული ხელშეკრულება-კონტაქტების საფუძველზე.

9. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტიც ანგარიშდება 1 მლნ. ლარ სადემონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

9.1 თვითმცლელი მანქანები 0,136X11,62X1,33=2,01=2ცალი დღეში

9.2 ძარიანი მანქანები 0,136X8,57X1,33=1,55=2 ცალი დღეში

9.3 სპეცავტოტრანსპორტი 0,136X10,92X1,33=1,98=2 ცალი დღეში

9.4 თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინას-წარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

10. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის

ცალკეული ეტაპები

10.1. ჩვენს მიერ შედგენილი სოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს შენობა-ნაგებობათა დაშლაზე შრომის, სამუშაოთა ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

10.2. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. ქუჩის მხრიდან საჭიროა ტერიტორიის დამატებითი შემოკავება დროებითი ღობით.

10.3. არსებული შენობის დაშლის წინ საქალაქო კომუნიკაციების სამსახურებთან შეთანხმებითა და მათი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროკაბელის, გაზსადე-ნისა და სხვათა ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან. საჭიროა სათანადო აქტის გაფორმებაც.

10.4. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

10.5. დაშლით სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

10.6. შენობის დაშლა უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

11. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

11.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამი-სობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესების ამონაკრები მომქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.

11.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ დაშლითი სამუშაოების წარმოების დროს;

- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები";
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ 111-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-30-79 „წყალ მომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ 111-4-80 '„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";
- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ";
- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

11.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

– ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მი-წის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

11.4. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერისა და წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, სამშენებლო ნაგვის უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამუშაოთა შესრულების პროცესში.

11.5. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედა-პირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღებისა და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

11.6. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაე-რის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

11.7. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცი-ლებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია დაშლითი სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მტვე-რის გაბნევის საშიშროებას მოიცავს მას აუცილებელია გადა-ფაროს საბურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

11.8. ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №12.18.243 დადგენილებით სამშენებლო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ავტოსატრანს-პორტო საშუალებების მოძრაობებისას სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს ავტოგზების სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონის-

ძიებების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს სამშენებლო მოედნიდან გამოსვლისას მანქანებისა და განსაკუთრებით მისი ავტოსაბურავების გარეცხვა-გასუფთავებას, რომ არ მოხდეს ქალაქის ქუჩების დაბინძურება.

12. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

12.1. შენობების დაშლა-დემონტაჟზე ნებართვა გაიცემა ქლაქ თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

12.2. ტერიტორია შემოკავებულია კაპიტალური ღობით.

12.3. სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყების წინ საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა დასაშლელ შენობაში შემავალი წყალსადენის, კანალიზაციის, გაზსადენის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა გარე საინჟინრო კომუნიკაციებიდან სათანადო აქტების გაფორმებით.

12.4. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით.

12.5. შენობები უნდა შეიფუთოს მტვრის დამჭერი ფარდით, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

12.6. დაშლითი სამუშაოების უზრუნველყოფა ელექტრო ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან თელასთან და თბილწყალკანალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

12.7. დაშლის პირველ ეტაპზე საჭიროა შენობის შიგთავსის გამონთავისუფლება გათბობისა და წყალკანალიზაციის სისტემების დემონტაჟი, კარ-ფანჯრების მოხსნა, ტიხრების დაშლა, იატაკების აყრა, სამშენებლო ნაგვის შეგროვება, მათი თვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა.

12.8. მეორე ეტაპია სახურავის ფენილის აყრა, სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა თვითმცლელებში კონუსური პლასტმასის ინვენტარული

ნაგავსაყრელი მილების გამოყენებით და ტერიტორიიდან გატანა ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ მითითებულ ნაგავსაყრელზე.

12.9. მესამე ეტაპია საკედლე პანელებისა და ლითონის ფანჯრის ალათების ჩამოხსნა, ხოლო მეოთხე ეტაპი რკინაბეტონის ასაწყობი კარკასის კონსტრუქციების (გადახურვის ფილები, კოჭები, ფერმები, ლითონის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები, სვეტები) დაშლა-დემონტაჟი. აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭიროა მობილური ამწეების გამოყენება საავტომობილო მუხლუხა სვლაზე შესაბამისი შრომის უსაფრთხოების ღონიძიებათა დაცვით.

12.10. ყველაზე რთულ სამუშაოდ გვევლინება სახურავისა ფილების მოხსნა-დემონტაჟის პროცესი, ვინაიდან ისინი მინიმუმ სამ წერტილში დადუღებული არიან კოჭებზე ან ფერმებზე. შესაძლებელია მათი მოხსნა, რისთვისაც ფილას კიდეებიდან ერთ მეტრ მანძილზე უნდა შემოევლოს ტროსები და ჩამოეკიდოს ამწის კაუჭზე მცირედ მოშვებულ მდგომარეობაში, შემდეგ საყრდენებზე უნდა ჩაიჭრას შედუღების წერტილები, აიწიოს ფილა და დაეშვას მიწის ზედაპირზე ან სატრანსპორტრო პლატფორმაზე.

12.11. ამ შემთხვევაში საჭირო გახდება სახურავის პირაპირები ჩაიჭრას მათი შეხების მთლიან კონტურზე (რომელიც ამოვსებული ბეტონის მასით), ხოლო ტროსების გატარებისათვის ხვრელების მოსაწყობ ადგილები გაიხვრიტოს სახურავის სიბრტყეში.

12.12. აქვე უნდა აღინიშნოს ასეთი ფილების მეორადი გამოყენება ახალ მშენებლობაში კანონით იკრძალება და მათ იყენებენ ინდივიდუალური ავტოფარეხების დასახურად ანდა ჯებირებისა და ღობე-ების დანიშნულებით.

12.13. აღნიშნულის გამო დასაშვებია სახურავის ფილების ჩამოშლა ადგილზევე სანგრევი ჩაქუჩების ან სხვა დარტყმითი ინსტრუმენტების გამოყენებით, ჯართის გამოცალკევება და მისი რეალიზება. ამავე დროს უფრო ადვილია სამშენებლო ნაგვის მიწაზე შეგროვება ბულდოზერით,

თვითმცლელებზე დათვირთვა ექსკავატორით და ნაგავსაყრელზე გატანა.

12.14. სახურავის ფილების დაშლის შემდეგ შენობის კოჭები და ფერმები ერთმანეთზე გადაბმულია ლითონის კავშირებით, მათი ჩახსნა შენობაზე მთლიანი რაოდენობით დაუშვებელია, იხსნება თანამიმდევრობით ერთდროულად ერთ მონაკვეთში ლითონის კავშირიც კოჭთან ან ფერმასთან ერთად.

12.15. აღნიშნულთან დაკავშირებით სამუშაოები უნდა წარიმართოს ამწე მექანიზმების მონაწილეობით, ტროსები უნდა შემოეხვიოს დასაშლელ ელემენტს კაუჭზე მოშვებულ მდგომარეობაში ჩამაგრებით, საჭიროა შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვა, რათა საყრდენების პირაპირებთან ორივე მხრიდან ჩაჭრის მომენტში არ მოხდეს კონსტრუქციის უნებლიე შემოტრიალება. პირაპირების გათავისუფლების მერე მუშები ტოვებენ სამუშაო ადგილებს, ხსნიან მოტრიალებისაგან დამცავ ბაგირებს და ამწის საშუალებით წარმოებს სადემონტაჟო ოპერაცია კონსტრუქციის მიწაზე დაშვების ან ავტოტრანსპორტის ძარაში ჩაშვებისა.

12.16. ანალოგიური მეთოდით წარმოებს საკედლე პანელების დემონტაჟიც.

12.17. არსებული შენობის სვეტების დემონტაჟისათვის ყველაზე იოლ საშუალებად გვესახება ამწის კაუჭით მისი დაჭერა, ფუძეში „ბორგალკის" ტიპის მექანიზმით ჩაჭრა, ტრავერსული სამარჯვებით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოყვანა და მიწაზე დაწვენა. ანდა მანქანის ზარაში ჩაშვება.

12.18. დაშლილი კონსტრუქციული ნაკეთეობების სამომავლო ბედს წყვეტს დამკვეთი: ადგილზე დააქუცმაცოს ჯართის გამორჩევით და ნაგვის გატანით; გაიტანოს სხვა ტერიტორიაზე ან გამოიყენოს სხვა საჭიროებით, მაგალითად საძირკვლების ფუძის გასაძლირებლად ან მეწყერული ფერდების გასამაგრებლად.

12.19. ბოლო ეტაპია ბეტონითა და რკინაბეტონით ნაგები საძირკვლების დაშლა და ტერიტორიის გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან, რომელიც უნდა შესრულდეს ამწეებისა და მიწის მთხრელი მანქანების გამოყენებასთან ერთად სანგრევი ჩაქუჩებით, პერფორატორებით და მექანიზაციის სხვა საშუალებებით.

12.20. დაშლით-სადემოტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

12.21. სამუშაოს დასრულების შემდეგ საჭიროა საძირკვლებისაგან დარჩენილი ღრმულებისა და ქვაბულების შევსება გრუნტით და ტერიტორიის მოსწორება.

13. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

13.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვა მანქანამექა-ნიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდირე-ბული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში

№	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალ
1	2	3	4
1	ლითონის სახარაჩო სექციები 50 მ^2 ფართობისათვის	კომპ	1
2	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	2
3	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპლ.	2
4	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
5	სანგრევი ჩაქუჩები	-	2

6	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლ.	1
7	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადა-სხვა	2
8	ჩასაბმელი სამარჯვები	კომპლ.	2
9	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	3
10	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2X2 (H)	ცალი	2
11	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	1
12	პერფორატორები	П-47	1
13	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	ДГ-100-2	1
14	თვითწევადი აკვანი	ცალი	1
15	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТП-66Е	1
16	ვიბროსამსხვრევი	С-47614	1
17	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
18	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	-	1
19	ამწე მექანიზმები	სხვადასხვა	1
20	ექსკავატორი ჩამჩის ტევადობით 0,25 მ^3	Э 251	1
21	ბულდოზერი სიმძლავრით 59 კვტ.	Б 125	1

13.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

14. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

14.1. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენო-ბათა დაშლა-დემონტაჟის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

14.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

14.3 ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

14.4. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში, მითუმეტეს შენობის ავარიული მდგომარეობისას მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები. ამასთანავე სამუშაოთა მწარმოებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ავარიულ შენობასთან მუშებისა და მანქანა-მექანიზმების დგომის ადგილები, თვით ჩამოშლის შემთხვევაში უბედური შემთხვევის გამორიცხვის მიზნით.

14.5. სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სამუშაოთა ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი ან სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

14.6. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

14.7. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატო-ვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

14.8. ლითონის ელემენტების ჩაჭრისას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.

14.9. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

15. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

15.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

15.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც დასაშლელი ადგილები საჭიროა წინასწარ დაინამოს ან შენობას ჩამოეფაროს ფარდა, ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

15.3 იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა უნდა განხორციელდეს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავსაყრელი მილებით, ცხადია სასურველია მათი პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობების ჩამოსვება უნდა ამწეების საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების პლათფორმებზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე ტრანსპორტირება.

15.4. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით. ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა, ვინაიდან ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელია.

15.5 სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს ან გადაეფაროს ბრეზენტის საფარი.

16. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

16.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მომქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

16.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

16.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

16.4. СНиП 3.01.01.85* ,,Организация строительного производства”, М. 1989г.

16.5. СНиП III-4-80* ,,Техника безопасности на строительстве” , М. 1988г

16.6. Востоновление здании после землетрясения, М.1986г.

16.7. Л. Зайцев, И. Улитенко ,,Строительные стреловые самоходные краны”, М. 1984г.

16.8. Р. Каграмонов, Ш. Мачабели ,,Монтаж конструкций сборных многоэтажных гражданских и промышленных зданий”. М. 1987 г.

16.9. Справочник мастера – строителя , М. 1989 г.



ექსპლიკაცია და მითითებები: 1. საკადასტრო გეგმით საწარმოო შენობა ტემპერატურული ნაკერით იყოფა 1ა და 1ბ ნაწილებად, ორივეს გააჩნია ანტრესოლები; 2. №2 ერთსართულიანი შენობა; 3. ლითონის მოდულურ „კისლოვოდსკის" მილოვან კონსტრუქციებში აგებული ნაგებობა, საკადასტრო გეგმაში შეტანილი არ არის; 4. არსებული კაპიტალური ღობე, აწყობილია რკინაბეტონის პანელებით; 5. ავტოჭიშკარი, 6. მობილური ამწევების შესაძლო დგომის წერტილები სადემონტაჟო წარმოების პერიოდებში; 7. სამშენებლო ნარჩენების და ნაგვის დროებითი შესაგროვებელი ადგილები, დემონტირებული კონსტრუქციები სასურველია იმავდროულადვე დაიტვირთოს სატრანსპორტო ავტომანქანებზე მათი გატანით.

შპს „NIEKISCH"			ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6 სკოლის ცენტრის შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟი	
დირექტორი	ანდრე ნიკიში		დაშლის ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შემდგენი	რ. მახვილაძე		დემონტაჟის გეგმა, ექსპლიკაცია და მითითებები	ფურც.
	ნ. მურჯიკნელი			ფურცლები 28
				თბილისი 2014

შენობის გარე და შიდა სივრცეში მობილური ამწის დგომის კოზიციები ფერმებისა და ფილების დემონტაჟის პერიოდში

შენობა №1ბ

შენობა №1ა



ნაგებობა №3



მითითება: 1. დემონტაჟის გეგმა წინა №28 ფურცელზეა.

2. რეკომანდაციები სამუშაოთა წარმართვის თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია.

3. შენობა-ნაგებობების სახურავები აგებულია ახაწყობი ლითონის ფერმებით და ახაწყობი რკინა-ბეტონის ფილებით. მათი დემონტაჟი დიდძალიან შენობებზე, როგორც წესი, წარმოებს ამწის მოძრაობით შენობაში, გარე მხრიდან წარმოებს კედლების, კარ-ფანჯრის ალათუბისა და კიდეზე მდგომი ფილების დემონტაჟი 6 მეტრ სიმაღლემდე.

4. დემონტაჟის გეგმაგმაზე ნაჩვენებია ამწეთა დგომის შესაძლო ადგილები გარე კონტურზე. ცხადია ამწე გარს უვლის შენობებს და მოხერხებული დგომიდან აწარმოებს სადემონტაჟო სამუშაოებს. ყველა შემთხვევაში სასურველია კონსტრუქციების იმავდროული ჩაწყობა მანქანების ჯარებში და გატანით.

5. სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარუსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი დონისძიებების განხორციელებით თანახმად საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობისა.

შპს „NIEKISCH"			ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №6 სპორტის ცენტრის შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟი	
დირექტორი	ანდრე ნიკიშ		დაშლის ორგანიზაციის პროექტი	სტადია შპ
შემდგენი	რ. მახვილაძე		შენობის გარე და შიდა სივრცეში მობილური ამწის დგომის პოზიციები ფერმებისა და ფილების დემონტაჟის პერიოდში მითითება	ფურც.
	ნ. შურღაიანელი			ფურცლები 29
				თბილისი 2014

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.06.008.146

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014294269 - 06/06/2014 15:07:23

მომზადების თარიღი
03/07/2014 10:16:36

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	14	06	008/146

მისამართი: ქალაქი თბილისი , უნივერსიტეტის ქუჩაზე-ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორია/ ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 11861.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.14.06.008.001; 01.14.06.008.003; 01.14.06.008.006;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 3537.00
სხვა ფართი: N2

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882014294269** , თარიღი **06/06/2014 15:07:23**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **03/07/2014**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საქართველოს კანონი "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ."
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის N10.55.631 დადგენილება.
- ქ.თბილისის გეოინფორმაციის ბიუროს მიერ გაცემული გეგმა.
- ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 21 ივლისს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- ქ. თბილისის პრემიერის 1998 წლის 23 დეკემბრის N693 განკარგულება.
- გადაწყვეტილება N1362449 , დამოწმების თარიღი:01/07/2014 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- სანოტარო წესით 2000 წლის 20 სექტემბერს დამოწმებული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ (რეგისტრირებულია რეესტრში N1-9377, ნოტარიუსი ლ. გაბელაიანი).
- ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2001 წლის 26 თებერვალს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- ქ. თბილისის პრემიერის 2001 წლის 19 თებერვლის N135 განკარგულება.
- სანოტარო წესით 2001 წლის 10 აპრილს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის N1-150, ნოტარიუსი ლ. კობახიძე)
- სანოტარო წესით 2000 წლის 20 სექტემბერს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეგისტრირებულია რეესტრში N1-9376, ნოტარიუსი ლ. გაბელაიანი).

მესაკუთრეები:
შპს "აკა" , ID ნომერი:204875082

მესაკუთრე:
შპს "აკა"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ამავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.06.008.146*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი882014294269
მიწის ნაკვეთის ფართობი: *11861* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 03.07.14



www.napr.gov.ge


4618550.00
4618550.00
477950.00
478000.00
დემონტაჟის თანმიმდევრობა
სადემონტაჟო შენობა - ა (პირველი ეტაპი)
სადემონტაჟო შენობა - ბ (პირველი ეტაპი)
სადემონტაჟო შენობა - გ (მე-2 ეტაპი ეტაპი)
სადემონტაჟო შენობა - დ (მე-3 ეტაპი ეტაპი)






ჭრილი 1-1 მ 1:100
ჭრილი 2-2 მ 1:100



გეგმა 0.00 ნიშნულზე

1

1 : 100		

სახურავის გეგმა



ფასადი ღერძებში "A-D"



ფასადი ღერძებში "D-A"




A
B
2
1
4.600
18.200
12.000
1.600
±0.000
1.850
18.000
1.850
21.700

ფასადი "1-2" ღერძებს შორის



ფასადი "a-b" ღერძებს შორის




სადემონტაჟო ობექტები




W 123W 210
W 124W 163
W 126W 140
SALE
30-80 %
ფასდაკლება
ავტონაწილებზე
VVN
507


CAR WASH
VIP-047